

ჩემი ეკონაკვალევი

ავტორი [მაია ბლიაძე](#)

თუ გიფიქრიათ, რას ნიშნავს სიტყვა „ნაკვალევი“? ეს ნიშნავს, რა წვლილი შეიტანა ადამიანმა რაიმე საქმეში, რით დაამახსოვრა თავი სხვებს, რა მოგონებები დატოვა. თითოეული ჩვენგანი ტოვებს კვალს – სკოლაში, სამსახურში, შინ, მეგობრების წრეში და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს პლანეტაზე. მაგრამ ყოველთვის გვაქვს კი საფუძველი, ჩვენი ნაკვალევით, განსაკუთრებით – ეკონაკვალევით, ვიამაყოთ?

ეკოლოგიური ნაკვალევი ერთი ადამიანის მიერ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით გარემოზე ზეგავლენას ნიშნავს. ეს გზები გულისხმობს ცხოვრების წესს, ენერგოეფექტურობას, მოხმარებული ენერგიის რაოდენობასა და წყაროებს... ეს ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. მაგალითად, როცა ანთებულ ნათურას უსარგებლოდ ვტოვებთ, არა მარტო ჭარბ ელექტროენერგიას მოვიხმართ, არამედ წყლის ზედმეტ რესურსსაც ვხარჯავთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზამთარში ჩვენი ენერგოსისტემა იძულებული გახდება, ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადავიდეს, ატმოსფეროში უფრო მეტი ნახშირორჟანგი გატყორცნოს და ბუნებაზეც უფრო მავნე ზეგავლენა მოახდინოს. მნიშვნელოვანია ყოფითი ცხოვრების წესიც. თუ, მაგალითად, კბილების გახეხვისას, ჭურჭლის რეცხვისა თუ შხაპის მიღებისას ონკანი მუდმივად მოშვებული გვაქვს, წყალს ამ შემთხვევაშიც ფუჭად ვდვრით.

იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რა სიმძლავრის ძრავა აქვს თქვენს მანქანას? რაც უფრო მცირე ლიტრაჟისაა ავტომობილი, მით უფრო ნაკლებ ნახშირორჟანგს უგზავნით გარემოს. ან რამდენად ხშირად დადიხართ საზოგადოებრივი ტრანსპორტით თუ ფეხით? შესაძლოა, ამაზე არასდროს გიფიქრიათ, მაგრამ თქვენი ყოველდღიური საქმიანობითა და ცხოვრების წესით გარემოზე გარკვეულ გავლენას ახდენთ და მასზე ეკოლოგიურ ნაკვალევსაც ტოვებთ.

ადამიანი გარემოზე ზემოქმედებას დაბადებისთანავე, ავტომატურად იწყებს, თუმცა რამდენად მტკივნეული იქნება ეს პროცესი, მის არჩევანზეა დამოკიდებული.

ეკონაკვალევის იდეა 1992 წელს უილიამ რიზომ წამოაყენა. მისი გამოთვლის კონცეფცია ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს ველური ბუნების დაცვის ფონდის (WWF) წყალობით. 2003 წელს კი შეიქმნა ეკოლოგიური ნაკვალევის გლობალური ქსელი (Global Footprint Network), რომელმაც გააერთიანა სამეცნიერო და სამთავრობო წრეები, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ამ ქსელმა წამოიწყო მეტად საინტერესო და ქმედითი აქცია – ეკოლოგიური მოვალეობის დღე.

კაცობრიობის ეკოლოგიური ნაკვალევი უფრო და უფრო იზრდება. მსოფლიოში უამრავი ადამიანი მოიხმარს იმაზე მეტ ენერგიასა და რესურსს, ვიდრე სჭირდება, მათ მიერ დატოვებული ნაკვალევის მოცულობა კი გარემოსთვის მიყენებული ზიანის პირდაპირპროპორციულია. ექსპერტთა და მეცნიერთა კვლევების მიხედვით, გლობალურმა ეკოლოგიურმა ნაკვალევმა დედამიწის ბიოლოგიურ შესაძლებლობას 25%-ით ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა.

შესაბამისად, თუ ყველა ადამიანი ენერგიების ჭარბ მოხმარებას გააგრძელებს, დედამიწას რესურსი უბრალოდ არ ეყოფა.

მსოფლიოს ქვეყნები ეკონაკვალევის მიხედვით

კომფორტი ყველას მოსწონს, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, რა ფასს ვიხდით ამისთვის. ენერგოეფექტურობა კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ კომფორტიც გქონდეს, ნაკლები ენერგიაც დაუხარჯოთ და გარემოსაც ნაკლები ზიანი მივაყენოთ. სწორედ ამას ისახავს მიზნად ეკონაკვალევის შემცირების პროგრამა, რომლის ძირითადი პუნქტებია:

მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შემცირება და საბოლოოდ შეჩერება

ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის მოხმარებისა და მომსახურების შემცირება

წარმოებასა და მომსახურების სფეროში გამოყენებული რესურსების მოცულობის შემცირება

ბიოპროდუქტიული რეგიონების ფართობების გაზრდა, მცირეპროდუქტიანი მიწების გაუმჯობესება (ირიგაცია, დატერასება)

ბიოპროდუქტიული ეკოსისტემების გაფართოება.

თუ გადაწყვეტ, შეიცვალო ცხოვრების წესი – გადაჯდე ველოსიპედზე, გადახვიდე ჯანსაღ კვებაზე, დაზოგო ენერგია და სხვ., ანუ იზრუნო საკუთარ ეკონაკვალეზე, მაშინ ეცადე, შემდეგი წესები დაიცვა:

დაზოგე ელექტროენერგია:

* შეცვალე ვარვარა ნათურები შექდიოდურით. იმავე განათებას მიიღებ, თანაც ელექტროენერგიის 80%-ს დაზოგავ.

* თუ კომპიუტერით 10-15 წუთი მაინც არ სარგებლობ, გამორთე მონიტორი – ის ყველაზე მეტ ენერგია სმოიხმარს. პარამეტრების გასწორებისას კი screensaver-ის ნაცვლად sleep mode ფუნქცია აირჩიე.

* ნუ მოათავსებ მაცივარში ცხელ კერძს და ნუ დატოვებ კარს ღია. დადგი ის ყველაზე გრილ ადგილას. გაითვალისწინე, რომ რაც უფრო მეტია კედლიდან დაშორება, მით უფრო ეფექტურად მუშაობს მაცივარი.

* ყოველთვის მიაქციე ყურადღება სარეცხის წონას. ნურც გადააჭარბებ და ნურც დააკლებ – ეს 10-30%-ით მეტი ელექტროენერგიის ხარჯვას გამოიწვევს. სწორად შეარჩიე რეცხვის პროგრამაც.

* საკვების თავდია ჭურჭელში მომზადება ენერგიის 2-6%-ს გვაკარგვინებს. ნუ ჩაასხამ ამ ჭურჭელში ზედმეტ წყალს – ეს არა მარტო კერძის მომზადების ხანგრძლივობას, არამედ დახარჯულ ენერგიასაც ზრდის.

* გაწმინდე მტვერსასრუტი – როცა ტომარა და ფილტრი გაუწმენდავია, ხელსაწყო 40%-ით მეტ ენერგიას ხარჯავს.

* გამორთე ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი თუ დამმუხტველი მოწყობილობები ქსელიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მაინც გააგრძელებენ ელექტროენერგიის მოხმარებას.

* ელექტრომოწყობილობის შეძენისას ყურადღება მიაქციე ენერგეტიკულ იარაღს – მასზე მოცემულია ინფორმაცია წლიური ენერგომოხმარების შესახებ. ეცადე, ყველაზე ეკონომიური შეარჩიო.

გაუფრთხილდი წყალს:

* შხაპის მიღებას თუ 1-2 წუთით ადრე დაასრულებ, თვეში 600 ლიტრ წყალს დაზოგავ, თუ კბილების გახეხვისას ონკანს დაკეტავ – 100 ლიტრს.

ნაკლებად იმოდრავ ავტომობილით.

საკვების მიღებისას იფიქრე ბუნებაზე – რასაც ხვალ მიირთმევ, დღეს უნდა დათესო და მოაშენო.

ნაკლებად გამოიყენე ნახევარფაბრიკატები და გაყინული პროდუქტები.

შეამცირე ნარჩენების რაოდენობა.

გამოიყენე ნარჩენები რეციკლინგის გზით.

ამჟამად „ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველო“ ქართულენოვანი ეკონაკვალევის გამოსათვლელი კალკულატორის შექმნაზე მუშაობს. აპლიკაცია ეკოლოგიური ნაკვალევის ზომის დადგენაში დაგეხმარება: ადამიანებმა უნდა დაინახონ, რა მტკივნეულ გავლენას ახდენს თითოეული მათგანი გარემოზე საკუთარი ცხოვრების წესით. დაფიქრდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია რესურსების ოპტიმალური გამოყენება. თუ ჯერ ფიქრს, მერე კი მოქმედებას დავიწყებთ, იმედია, სამყარო ოდნავ უკეთესი მაინც გახდება.

ქართულენოვანი კალკულატორის გამოსვლამდე კი გარემოზე თქვენი ზემოქმედების ხარისხისა და ეკოლოგიური ნაკვალევის ზომის დადგენაში უცხოურენოვანი კალკულატორები დაგეხმარებათ, რომელთა ნახვა ამ ბმულებზეა შესაძლებელი:

<https://myfootprint.org/subscription.php> <https://www.earthday.net/Footprint/index.asp>